ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გის ანალიზი

თეა მუკბანიანი

ელ-ფოსტა: Tea.Mukbaniani671@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის პრ. #3, თბილისი

საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებით პერსპექტიულია ისეთი დარგის განვითარება, როგორიცაა ტურიზმი და რეკრეაცია. ამ სფეროს განვითარება კი ფაქტიურად წარმოუდგენელია თანამედროვე გეოინფორმაციული ტექნოლოგიებით შედგენილი რუკებისა და სხვა კარტოგრაფიული გამოსახულებების გარეშე, რაც ჩვენი კვლევის ობიექტს სრულყოფილი სახით დღემდე არ გააჩნდა.

ნაშრომის მიზანი იყო ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტულ–რეკრეაციული მნიშვნელობის მქონე ობიექტებისა და არეალების გამოვლენა, შესწავლა, კარტოგრაფირება და ანალიზი.

დასახული მიზნის მისაღწევად დაისახა კონკრეტული ამოცანები: საკვლევი ტერიტორიის შესახებ არსებული სამეცნიერო-ისტორიული და გეოგრაფიული წყაროების, ასევე კარტოგრაფიული მასალების მოძიება, კლასიფიცირება და ანალიზი; საველე კვლევების ჩატარება ლენტეხის მუნიციპალიტეტში ტურიზმის ჭრილში, რომელიც ითვალისწინებდა მოსახლეობის გამოკითხვას წინასწარ მომზადებული კითხვარის მეშვეობით, ტურისტული ობიექტების მონახულება, ფოტოგრაფირება და კოორდინატების აღება; საკვლევი მუნიციპალიტეტის 1:50 000 მასშტაბის რუკის ციფრული ფორმატის მომზადება; საკვლევი ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის მქონე არეალებისა და ობიექტების კარტოგრაფირება და შესაბამისი რედაქტირება; შედგენილი რუკებისა და მონაცემთა ბაზის სივრცულ-დროითი ანალიზი.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია ლენტეხის მუნიციპალიტეტში კვლევის პროცესში მოპოვებული მასალების დამუშავების შედეგები და ამ შედეგების საფუძველზე შედგენილი დიაგრამებისა და კარტოგრაფიული მასალის ანალიზი.

მიღებული შედეგები უმნიშვნელოვანესია, როგორც ტურისტულ-რეკრეაციული კუთხით შესრულებული პირველი სრული გამოკვლევა ლენტეხის მუნიციპალიტეტის შესახებ, რომლის გამოიყენებასაც შეძლებს ადგილობრივი, შესაბამისი სახელმწიფო თუ არასამთავრობო სამსახური, პერსპექტიულ ტურისტულ-რეკრეაციულ კომპლექსში შესაბამისი სამუშაოების, ღონისძიებებისა თუ პროექტების დაგეგმვა-განხორციელების დროს;

კვლევა შესრულდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური პროექტის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გის ანალიზის“ ფარგლებში, 2017წ.